RUSALLOYS

№ 01-062/01-20 / 14 / 09 / 2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ბატონო / ქალბატონო,

გაცნობებთ, რომ შპს „რუსელოის"-ის დაგეგმილი აქვს აგლომერაციის საწარმოს მოწყობა. დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება გამოიწვევს კომპანიის ექსპლუატაციის პირობების შეცვლას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „რუსელოის"-მა სკრინინგის განცხადებით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 08 ივლისის N2-621 სკრინინგის დასკვნის მიხედვით, შპს „რუსელოისის" დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლის შესაბამისად კომპანია ვალდებული იყო გაევლო სკოპინგის პროცედურა.

შპს „რუსელოის"-მა გაიარა სკროპინგის პროცედურა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბრის N2-1133 ბრძანებით მიიღო სკოპინგის დასკვა N119 (18.11.2019).

სკოპინგის დასკვნის შესაბამისად მომზადებული იქნა შპს „რუსელოის"-ის მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და აგლომერაციის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე - 10 და მე - 11 მუხლების საფუძველზე წარმოგიდგენთ შპს „რუსელოის"-ის მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და აგლომერაციის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გთხოვთ კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

წინამდებარე განცხადებას თან ერთვის საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული საჭირო დოკუმენტაცია.

შპს „რუსელოის" / „Rusalloys" Ltd., საიდენტიფიკაციო კოდი / ID: 404504327
საქართველო, თბილისი 0108, მ. ბროსეს ქ. 2, ოფისი №25
Office №25; 2, M. Brosse str., 0108 Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 32) 224 40 60
E-mail: info@rusalloys.com
www.rusalloys.com

14487
14.09.20
2/4СD

დანართი:

1. შპს „რუსელოის“-ის მეტალურგიული (ფეროშენადნობთა) ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და აგლომერაციის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ – 2 ეგზემპლარი და ელ. ვერსია (1 CD)

2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების შესახებ პროექტი 2 ეგზემპლარი და ელ ვერსია 1 (CD)

3. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად)

4. არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი და ელ. ვერსია (1 CD)

5. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

6. სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი;

7. საჯარო რეესტრიდან ამონაწერი

პატივისცემით,

შპს „რუსელოის“-ის

გენერალური დირექტორი

ნუგზარ კევლიშვილი